საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 5 18 00073798

26/10/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველადი
სტრუქტურული ერთეულის მოვალეობის შემსრულებელს
გიორგი მასხულიას

ბატონო გიორგი,

თქვენი 2018 წლის 25 ოქტომბრის №60-01182982368 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 25.10.2018; №73578) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ჭონქაძის ქუჩა №21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.05.061.017) ასაშენებელი სასტუმროს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, ჭონქაძის ქუჩა N21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.05.061.017) ასაშენებელი სასტუმროს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის N 66954 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა სათანადო ცვლილება-დამატებები, შეესაბამება

სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი